წაკითხული ტესტის გააზრება მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით

სოფიო მაისურაძე

მარიამ სორდია

,,სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განთლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად''

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

სამეცნიერო ხემძღვანელი: ირენე სამსონია(დოქტორანტი,მოწვეული პედაგოგი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო, მაისურაძე, ს.მაისურაძე

მარიამ,სორდია, მ.სორდია

თარიღი: 18.06.2023

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საჩხერის რაიონის, სოფელ კორბოულის მეორე საჯარო სკოლის, მეხუთე კლასში განხორციელებულ პრაქტიკის კვლევას. კვლევა შეეხება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, წაკითხული ტექსტის გააზრება მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით. კვლევის მიზანია: შევისწავლოთ, სოფელ კორბოულის, მეორე საჯარო სკოლის მეხუთე კლასში წაკითხული ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები და განვსაზღვროთ, რომელი სტრატეგიებითაა შესაძლებელი პროცესის გაუმჯობესება. საკვლევი საკითხის უკეთ გასაგებად მოვიძიეთ, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი (მასწავლებელთა კითხვარი) და თვისებრივი კვლევის მეთოდები (ფოკუსჯგუფი და ინტერვიუ მასწავლებლებთან). მოცემული მეთოდების საშუალებით დავადგინეთ ძირითადი პრობლემები, რომლებიც მასწავლებლების აზრით ხელს უშლის წაკითხულის გააზრების პროცესს. საკითხის დაზუსტების მიზნით ჩავატარეთ დიაგნოსტიკური კვლევა. დიაგნოსტირება დაგვეხმარა, გაგვერკვია კონკრეტული პრობლემები ტექსტის გააზრების პროცესში, ასევე გაგვეზომა შედეგები ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ. დიაგნოსტირების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს, ტექსტზე მუშაობის პროცესში, ყველაზე მეტად უჭირთ იდეის ამოცნობა/გაგება, პერსონაჟის თვისებების ამოცნობა/დახასიათება და ინტერპრეტაცია, ასევე გაუჭირდათ უშუალო დასკვნების გამოტანა და ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაგება. მოცემული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა ინტერვენციების გეგმა და შევთავაზეთ წაკითხული ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებული შვიდი სტრატეგია, ესენია: შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, დისკუსია, დაწყვილდი დაფიქრდი გაუზიარე, პერსონაჟის რუკა, შეჯამების ვარსკვლავი, კრიტიკული კითხვა და ხუთ წუთიანი ესე. გავწერეთ

დრო, რომლის ფარგლებში უნდა ჩაეტარებინათ ინტერვენციები, შევიმუშავეთ სამუშაო შეხვედრების გრაფიკი, გაკვეთილზე დაკვირვების ოქმი, რომელსაც შეავსებდნენ ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ. მასწავლებლებს ექნებათ რეფლექსიური შეხვედრები, რომლებსაც ჩვენც დავესწრებით. შეხვედრის ფარგლებში განიხილავენ გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე ერთმანეთის გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგებს. ორი კვრის განმავლობაში, კვლევაში ჩართულ ხუთ მასწავლებელს, საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს უნდა გამოეყენებინა ჩვენ მიერ შეთავაზებული შვიდი სტრატეგია, დასწრებოდნენ ერთმანეთის გაკვეთილებს. ორი კვირის შემდეგ ამ სტრატეგიებს იყენებდა უშუალოდ ის მასწავლებელი, რომლის კლასშიც ვატარებდით კვლევას. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, იმის გასაგებად თუ რა შედეგი გამოიღო ჩვენ მიერ შეთავაზებული სტრატეგიების გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვამ, ჩავატარეთ პოსტ ტესტი. პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეებმა გააუმჯობესეს დიაგნოსტირების შედეგები. ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები კლასის 90 პროცენტს ეწერა სწორად, დასკვნების გამოტანა-90 პროცენტი, იდეის ამოცნობა გეგება და ინტერპრეტაცია-90 პროცენტი,პერსონაჟის შეფასება-76 პროცენტი. პოსტ ტესტს შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ,რომ ინტერვენციებმა ნაყოფიერად ჩაიარა. მართალია ასი პროცენტით ვერ აღმოიფხვრა პრობლემა, თუმცა როგორც მასწავლებელმა აღნიშნა და ამას პასუხებიც ნათლად აჩვენებს, შეგვიძლია ვთქვათ,რომ ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენ მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები.

ძირითადი სიტყვები: წაკითხულის გააზრება, დიანოსტირება.

Abstract

The mentioned work is a study of the practices carried out in the fifth grade of the second public school of the village of Korbouli, Sachkhere district. The research deals with one of the actual issues, comprehension of the read text using various strategies. The purpose of the research is to study the difficulties related to the comprehension of the text read in the fifth grade of the second public school in the village of Korbouli and to determine which strategies can be used to improve the process. In order to better understand the research issue, we searched both Georgian and English literature.

In the process of practice research, we used quantitative (teacher questionnaire) and qualitative research methods (focus group and interview with teachers). With the help of these methods, we identified the main problems that, according to teachers, hinder the process of reading comprehension. In order to clarify the issue, we conducted a diagnostic study. Diagnosing helped us identify specific problems in the text comprehension process, as well as measure results before and after interventions. As a result of the diagnosis, it was revealed that the students, in the process of working on the text, have the most difficulty in recognizing/understanding the idea, recognizing/characterizing and interpreting the characteristics of the character, as well as making direct conclusions and understanding explicitly given information. In order to improve these results, we decided to develop an intervention plan and offer seven strategies focused on reading comprehension, namely: entrance and exit tickets, discussion, pair think share, character map, summary star, critical reading and five minute essay. We wrote down the time within which the interventions were to be carried out, we developed a schedule of work meetings, a lesson observation protocol that would be filled in after the lessons. The teachers will have reflection meetings, which we will also attend. During the meeting, they discuss the strengths and weaknesses of the strategies used

in the lesson, as well as the results of observing each other's lessons. During two weeks, the five teachers involved in the study had to use the seven strategies we proposed while conducting the lesson process, attending each other's lessons. Two weeks later, these strategies were being used directly by the teacher in whose classroom we conducted the study. After the implementation of the interventions, we conducted a post-test to understand the results of conducting the learning process using the strategies we proposed. Based on the answers, we can say that the students improved the results of diagnosis. Questions focused on understanding explicitly given information were written correctly by 90 percent of the class, drawing conclusions - 90 percent, idea recognition, understanding and interpretation - 90 percent, character evaluation - 76 percent. Based on the results of the post test, we can say that the interventions were successful. Although the problem could not be eliminated one hundred percent, however, as the teacher mentioned and the answers clearly show this, we can say that the tools we developed proved to be usefull.

key words: Reading comprehension, Diagnosing.